საჯარო შეტყობინება შპს "ნიუ ქონსტრაქშენის" დირექტორს,
ბატონ გიორგი მჭედლიშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა“ და შპს „ნიუ ქონსტრაქშენს“ შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული N140 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, (ხელშეკრულების საგანი - ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე შემსყიდველის (საქპატენტის) საოფისე შენობის მშენებლობა, თანდართული ხარჯთაღრიცხვის და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად), წარმოგეშვათ ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვალდებულება, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 15 ივნისის და 2021 წლის 8 ივნისის დასკვნების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, ქ.მცხეთაში ანტიოქიის N5-ში მდებარე შენობის კონსტრუქციულ ნაწილსა და სახურავს აღენიშნება დაზიანება, რომელიც საჭიროებს შეკეთება-შერემონტებას.

შესაბამისად, გთხოვთ საქპატენტსა და შპს „ნიუ ქონსტრაქშენს“ შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული N140 ხელშეკრულების 11.2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოთ ხარვეზის აღმოფხვრა, შეტყობინების ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების 11.3 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, ხარვეზის სრულად აღმოფხვრამდე.

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

- მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N5
- ელ-ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
- ტელ.: +995 322 25 25 33

პატივისცემით,
მანანა ფრუიძე

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი